ხელშეკრულება

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თბილისი

ერთი მხრივ, შპს „ახალი განათლება“, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიკა ჩიქოვანის სახით, მეორე მხრივ, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეთერი ჩიხლაძის სახით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია გაზეთის - „ახალი განათლება“ 2020 წლის ხელმოწერის შესყიდვა (CPV:22200000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება არის 80 (ოთხმოცი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებას, ასევე შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადებს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება ელექტრონული ზედნადებით ან მიღება-ჩაბარების აქტით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21[1]-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასწარი ანგარიშსწორებით, ხელშეკრულების დადებიდან ორი კვირის ვადაში.

მუხლი 4. მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი გაზეთის მიწოდებას უზრუნველყოფს სააგენტოს საშუალებით შემსყიდველის მისამართზე (მცხეთა, სოფელი წეროვანი, კვლ. ინსტიტუტის დასახლება) 2020 წლის განმავლობაში, ყოველკვირეულად, როდესაც მუშაობს საგანმანათლებლო დაწესებულება.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;
გ) ეტაპობრივად (ყოველკვირეულად) მიაწოდოს „შემსყიდველს“ სააგენტოს საშუალებით გაზეთი „ახალი განათლება“ იმ პერიოდში, როდესაც მუშაობს საგანმანათლებლო დაწესებულება, წლის განმავლობაში-40 ნომერი.

მუხლი 6. პირგასამტეხლო
6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1 %-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი
7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი
9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება
10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა
11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა
12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მიმწოდებელი:

შპს „ახალი განათლება“

ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N126
ელ.ფოსტა: axaliganatleba1@gmail.com
ტელ: 599 88 00 73
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000
ს/კ 202058735
ბანკის კოდი: BAGAGE22

დირექტორი მარიკა ჩიქოვანი

შემსყიდველი:

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლა

მის:მცხეთა, სოფელი წეროვანი
ელ.ფოსტა:Tserovani2@mes.gov.ge
ტელ: 577971112
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „ლიბერთი ბანკი“
ა/ა GE85LB0121141510630000
ს/კ 236059251
ბანკის კოდი:LBRTGE22

დირექტორი ეთერი ჩიხლაძე